როგორ მოვახდინოთ რეაგირება თამბაქოს მოხმარების შემთხვევაში ადგილებში, რომლებიც თავისუფალი უნდა იყოს თამბაქოს კვამლისაგან

თუ თქვენ ხართ პასუხისმგებელი პირი/ორგანო დაწესებულებაში ან ტრანსპორტში თამბაქოს კვამლისგან თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფაზე, თქვენ კანონით გეკისრებათ ვალდებულება აიცილოთ თამბაქოს მოხმარება ამ ადგილებში. **ამისათვის, საწყის პერიოდში, როგორც გამაფრთხილებელი ნიშნებით, ისე სიტყვიერად ან სხვა ეფექტური ფორმებით, უზრუნველყავით თქვენი დაწესებულების პერსონალის და სტუმრების გაფრთხილება დაწესებულებაში მოწევის აკრძალვის შესახებ.** იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე მაინც მოიხმარს თამბაქოს ასეთ დაწესებულებაში, ადგილზე ან ტრანსპორტში, თქვენ ვალდებული ხართ მიიღოთ ზომები. ქვემოთ მო[illegible]ევებზე რეაგირების

მიუთითეთ მოწევის აკრძალვის ნიშანზე და სთხოვეთ პირს შეწყვიტოს მოწევა ან გავიდეს გარეთ

უთხარით, რომ თქვენ დაგაჯარიმებენ თუკი ნებას დართავთ მას, რომ გააგრძელოს მოწევა და რომ იგი თამბაქოს კვამლისგან თავისუფალ დაწესებულებებში, ადგილებში ან ტრანსპორტში მოწევით არღვევს კანონს, და შესაძლოა დაჯარიმდეს ორივე მხარე

თუკი დაწესებულების პერსონალი უარს აცხადებს შეწყვიტოს მოწევა:

- შეახსენეთ მათ რომ ახალი კანონით პერსონალი და საზოგადოება დაცული უნდა იყოს თამბაქოს კვამლის მავნე ზემოქმედებისაგან
- აუცილებლობის შემთხვევაში, დაიწყეთ დისციპლინური პროცედურები თქვენს დაწესებულებაში თამბაქოს კვამლისგან თავისუფალი პოლიტიკის დარღვევისათვის

თუკი მომხმარებელი / სტუმარი უარს აცხადებს შეწყვიტოს მოწევა:

- აუხსენით რომ პერსონალი იძულებული იქნება უარი უთხრას მომსახურებაზე და თუ კვლავ გააგრძელებს მოწევას მას სთხოვენ დატოვოს დაწესებულება
- თუკი ის არ ტოვებს დაწესებულებას, დაიწყეთ ის პროცედურები, რომლებსაც იყენებთ ანტისოციალური ან აკრძალული ქცევის შემთხვევაში

აწარმოეთ და შეინახეთ ჩანაწერები (ფოტო-ვიდეო-აუდიო და წერილობითი) იმის შესახებ, თუ როდის და სად მოხდა ინციდენტი, დამრღვევი პირის სახელი და გვარი და თქვენი რეაგირების შედეგი

თუ ფიზიკურ შეხლა-შემოხლას ექნება ადგილი მწეველი ადამიანის მხრიდან, გირჩევთ შეატყობინოთ ან / და ითხოვოთ დახმარება პოლიციისგან - დარეკეთ 112-ზე